ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-9
2024 წლის 31 მაისი
ქ. თბილისი

„ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 16 მაისის №ნ-6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2024 წლის 16 მაისის №ნ-6 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 20/05/2024, 260030000.64.076.016136) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„მუხლი 1^1

ამ ბრძანების პირველი მუხლის მოქმედება, გარდა პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ო.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, 24-ე მუხლის მე-10, მე-11 და მე-12 ქვეპუნქტებისა, არ გავრცელდეს სამსახურის მიერ 2024 წლის 15 აპრილიდან დაწყებულ და 2024 წლის 31 მაისის ჩათვლით დასრულებულ/შეწყვეტილ მონიტორინგებზე.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი **დავით მჭედლიძე**